

მოსწავლის რთული ქცევის მართვის გაუმჯობესება დაწყებით
საფეხურზე (I-II კლასი)

ლალაშვილი ნინო

მალანია ქრისტინე

ქეშელაშვილი ლელა

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე განათლების ადმინისტრირების
მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად*

განათლების ადმინისტრირების პროგრამა (სკოლის მიმართულება)

სამეცნიერო ხელმძღვანელი: გიორგი გახელაძე, მოწვეული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2016

განაცხადი

“როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორები, ვაცხადებთ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩვენს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად“.

ლალიაშვილი ნინო 27.06.2016

მალანია ქრისტინე 27.06.2016

ქეშელაშვილი ლელა 27.06.2016

მადლობა

მადლობას ვუხდით თითოეულ იმ ადამიანს, ვინც აქტიურად იყო ჩართული ჩვენი კვლევის პროცესში. მათი დახმარება და მხარდაჭერა მნიშვნელოვანი იყო კვლევის განხორციელებისათვის.

მადლობას ვუხდით კვლევის კომისიის წევრებს: სასწავლო პროცესის მენეჯერს მიხეილ ტეფნაძეს და პედაგოგებს - თამილა პოპიაშვილს, თეა კვაჭაძეს, ქეთევან ტაბატაძეს, ნინელი ნეფარიძეს. ასევე, სკოლის ყოფილ დირექტორს ნინო კვიციანიშვილს და ამჟამინდელ დირექტორს დავით ლიპარტელიანს.

მადლობას ვუხდით განათლების საკითხების მკვლევარს სიმონ ჯანაშიას და SAVE THE CHILDREN-ის ფსიქოლოგს ანა ლაღიძეს რჩევებისა და პროფესიული ლიტერატურით დახმარებისთვის.

მადლობას ვუხდით მოწვეულ სპეციალისტს მარიამ ტყაბლაძეს, ინტერვენციის ფარგლებში ჩატარებული სამუშაო შეხვედრისთვის რთული ქცევის მართვის თემატიკის მიხედვით.

განსაკუთრებულ მადლობას ვუხდით სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელს, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორს გიორგი გახელაძეს, რომელიც კვლევის საწყის და მიმდინარე ეტაპზე გვაძლევდა მითითებებს, რეკომენდაციებს და გვეხმარებოდა კვლევის პროცესში წარმოქმნილი პრობლემების გადაჭრაში.

აბსტრაქტი

წინამდებარე ნაშრომში წარმოდგენილია პრაქტიკული კვლევა, რომელიც განხორციელდა თბილისის კერძო სკოლაში „განათლების თანამედროვე აკადემია“. კვლევამ მოიცვა სკოლის პედაგოგების მიერ დასახელებული პრობლემის შესწავლა და პედაგოგთა პრაქტიკის გაუმჯობესების გზით, მისი გადაჭრის და/ან შემცირების მეთოდების შემუშავება.

პრობლემა, რომელიც შეირჩა დასახელებულ საკითხებს შორის იყო მოსწავლეების რთული ქცევა, რაც საგაკვეთილო პროცესს მნიშვნელოვნად აფერხებდა.

საკვლევი თემის სენსიტიურობიდან გამომდინარე, კვლევა დაეყრდნო თვისებრივ მეთოდოლოგიას.

პროლემური საკითხის შესახებ მოხდა მონაცემთა შეგროვება თვისებრივი კვლევის სხვადასხვა მეთოდების გამოყენებით. მონაცემთა დამუშავების შემდეგ დაიგეგმა და შემდეგ განხორციელდა შესაბამისი ინტერვენციები, რაც მიმართული იყო სკოლის მიერ დასახელებული პრობლემის მოგვარების ან შემცირების მეთოდებისა და მიდგომების შემუშავებასა და დახვეწაზე.

Abstract

This paper presents a Action research conducted at the private school -“Contemporary Education Academy”. The research considers the study and identification and analysis of the existing problems of the school teachers; Moreover, the methods to solve problems in order to improve the teacher’s practice and to reduce the existing problems are also discussed under this study.

The problem highlighted among the other identified ones was the complicated behavior of the school students that significantly disturbed the lesson process.

Due to the sensitivity of the researching problem, this research was based on qualitative methodology.

The data on the problematic issue was collected applying the methods of the qualitative research. After the data was analyzed the appropriate interventions were the planned and implemented in order to solve and/or reduce the abovementioned problems at the school. In addition to this, the research consists of new methodological approaches to manage/reduce school student's complicated behavior.

ძირითადი სამიზნო სიტყვები: მოსწავლეთა რთული ქცევა, მასწავლებელი, სკოლის ადმინისტრაცია, პრაქტიკული კვლევა.